

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2 2019 წლის 25 იანვარი

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 31/12/2018, 190020020.35.163.016448).

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

გიგა ორკოდაშვილი

დანართი

თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი თავი I თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი მოცემული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	26,047.62	6,629.37	19,418.25	22,063.09	560.83	21,502.25
გადასახადები	6,528.37	0.00	6,528.37	17,835.30	0.00	17,835.30
გრანტები	16,604.72	6,629.37	9,975.35	1,428.74	560.83	867.90
სხვა შემოსავლები	2,914.53	0.00	2,914.53	2,799.05	0.00	2,799.05



ხარჯები	16,303.52	549.54	15,753.98	18,968.70	103.37	18,865.33
შრომის ანაზღაურება	2,551.13	0.00	2,551.13	2,739.80	0.00	2,739.80
საქონელი და მომსახურება	3,812.73	173.57	3,639.16	4,731.11	103.37	4,627.73
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
პროცენტი	204.39	0.00	204.39	111.19	0.00	111.19
სუბსიდიები	7,425.50	0.00	7,425.50	8,327.77	0.00	8,327.77
გრანტები	23.00	0.00	23.00	27.00	0.00	27.00
სოციალური უზრუნველყოფა	1,327.76	0.00	1,327.76	1,273.52	0.00	1,273.52
სხვა ხარჯები	959.00	375.97	583.03	1,758.31	0.00	1,758.31
საოპერაციო საღდო	9,744.11	6,079.83	3,664.28	3,094.39	457.46	2,636.93
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7,245.61	5,418.36	1,827.25	7,818.20	2,224.55	5,593.65
ზრდა	7,710.26	5,418.36	2,291.90	8,568.20	2,224.55	6,343.65
კლება	464.65	0.00	464.65	750.00	0.00	750.00
მთლიანი საღდო	2,498.50	661.47	1,837.03	-4,723.81	-1,767.09	-2,956.72
ფინანსური აქტივების ცვლილება	2,130.60	661.47	1,469.13	-5,101.77	-1,767.09	-3,334.68
ზრდა	2,130.60	661.47	1,469.13	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	2,130.60	661.47	1,469.13	0.00		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სესხები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
აქციები და სხვა კაპიტალი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	0.00	0.00	0.00	5,101.77	1,767.09	3,334.68
ვალუტა და დეპოზიტები	0.00			5,101.77	1,767.09	3,334.68



ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სესხები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
აქციები და სხვა კაპიტალი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების ცვლილება	-367.90	0.00	-367.90	-377.96	0.00	-377.96
ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საშინაო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	367.90	0.00	367.90	377.96	0.00	377.96
საშინაო	367.90	0.00	367.90	377.96	0.00	377.96
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ბალანსი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

მუხლი 2. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება მოცემული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	26512.28	6629.37	19882.90	22813.09	560.83	22252.25
შემოსავლები	26047.62	6629.37	19418.25	22063.09	560.83	21502.25
არაფინანსური აქტივების კლება	464.65	0.00	464.65	750.00	0.00	750.00
გადასახდელები	24013.78	5967.90	18045.87	27536.90	2327.92	25208.98
ხარჯები	16303.52	549.54	15753.98	18968.70	103.37	18865.33
არაფინანსური აქტივების ზრდა	7710.26	5418.36	2291.90	8568.20	2224.55	6343.65



ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების კლება	367.90	0.00	367.90	377.96	0.00	377.96
ნაშთის ცვლილება	2130.60	661.47	1469.13	-5101.77	-1767.09	-3334.68

მუხლი 3. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 22063.09 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	26 047,62	6 629,37	19 418,25	22 063,09	560,83	21 502,25
გადასახადები	6 528,37	0,00	6 528,37	17 835,30	0,00	17 835,30
გრანტები	16 604,72	6 629,37	9 975,35	1 428,74	560,83	867,90
სხვა შემოსავლები	2 914,53	0,00	2 914,53	2 799,05	0,00	2 799,05

მუხლი 4. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 17835.3 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	6,528.4	0.0	6,528.4	17,835.3	0.0	17,835.3
საშემოსავლო გადასახადი	1,770.7		1,770.7	0.0		
დამატებული ღირებულების გადასახადი				13,435.3		13,435.3
ქონების გადასახადი	4,757.7	0.0	4,757.7	4,400.0	0.0	4,400.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3,015.7		3,015.7	2,600.0		2,600.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1.855		1.855	0.000		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	109.0	0.0	109.0	40.0	0.0	40.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის	1.1		1.1	0.0		



გამოყენებულ ქონებაზე						
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	107.9		107.9	40.0		40.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	773.3	0.0	773.3	880.0	0.0	880.0
ფიზიკური პირებიდან	502.3		502.3	580.0		580.0
იურიდიული პირებიდან	271.0		271.0	300.0		300.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	857.8	0.0	857.8	880.0	0.0	880.0
ფიზიკური პირებიდან	183.9		183.9	230.0		230.0
იურიდიული პირებიდან	673.9		673.9	650.0		650.0

მუხლი 5. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 1428,74 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	16 604,72	6 629,37	9 975,35	1 428,74	560,83	867,90
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	10,55	0,00	10,55	0,00	0,00	
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	16 594,17	6 629,37	9 964,80	1 428,74	560,83	867,90
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	9 845,70	0,00	9 845,70	285,00	0,00	285,00
გათანაბრებითი ტრანსფერი	9 560,70		9 560,70	0,00		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	285,00		285,00	285,00		285,00
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	6 748,47	6 629,37	119,10	560,83	560,83	0,00
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	6 629,37	6 629,37	0,00	560,83	560,83	0,00
სხვა ტრანსფერები	119,1	0,0	119,1	582,9	0,0	582,90

მუხლი 6. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2799.1ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	2,914.5	0.0	2,914.5	2,799.1	0.0	2,799.05
შემოსავლები საკუთრებიდან	746.5	0.0	746.5	560.0	0.0	560.0
პროცენტები	322.0		322.0	230.0		230.0
რენტა	424.4	0.0	424.4	330.0	0.0	330.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	316.7		316.7	250.0		250.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	107.7		107.7	80.0		80.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,631.5	0.0	1,631.5	1,583.1	0.0	1,583.1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1,593.0	0.0	1,593.0	1,548.1	0.0	1,548.1
სანებართვო მოსაკრებელი	80.8		80.8	50.0		50.0
სახელმწიფო ბაჟი	0.000		0.000	0.000		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.016		0.016	0.050		0.050
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	4.6		4.6	4.0		4.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,303.7		1,303.7	1,294.0		1,294.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	203.8		203.8	200.0		200.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	38.5	0.0	38.5	35.0	0.0	35.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	38.5		38.5	35.0		35.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	524.9		524.9	650.0		650.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	11.681		11.681	6.000		6.000

მუხლი 7. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები



განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 18968,70 ათასი ლარის ოდენობით.

თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	16,303.52	549.54	15,753.98	18,968.70	103.37	18,865.33
შრომის ანაზღაურება	2,551.13	0.00	2,551.13	2,739.80	0.00	2,739.80
საქონელი და მომსახურება	3,812.73	173.57	3,639.16	4,731.11	103.37	4,627.73
პროცენტი	204.39	0.00	204.39	111.19	0.00	111.19
სუბსიდიები	7,425.50	0.00	7,425.50	8,327.77	0.00	8,327.77
გრანტები	23.00	0.00	23.00	27.00	0.00	27.00
სოციალური უზრუნველყოფა	1,327.76	0.00	1,327.76	1,273.52	0.00	1,273.52
სხვა ხარჯები	959.00	375.97	583.03	1,758.31	0.00	1,758.31

მუხლი 8. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 7818,20 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 8568.20 ათასი ლარის ოდენობით, მოცემული ცხრილის შესაბამისად:

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	4.2	0.0	4.2	566.69	0.00	566.69
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	34.9	0.0	34.9	21.61	0.00	21.61
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	6658.2	4978.9	1679.2	5788.45	2032.99	3755.46
04 00	განათლება	413.5	163.1	250.4	511.00	187.68	323.33
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	587.0	276.3	310.7	1607.45	3.88	1603.57
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური	12.5	0.0	12.5	73.00	0.00	73.00



უზრუნველყოფა						
სულ ჯამი	7710.3	5418.4	2291.9	8568.20	2224.55	6343.65

ბ) განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 750,0 ათასი ლარის ოდენობით, მოცემული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	464.7	0.0	464.7	750.0	0.0	750.0
ძირითადი აქტივები	274.3		274.3	50.0		50.0
არაწარმოებული აქტივები	190.4	0.0	190.4	700.0	0.0	700.0
მიწა	190.4		190.4	700.0		700.0

მუხლი 9. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, მოცემული ცხრილის შესაბამისად:

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3,687.4	0.0	3,687.4	4,505.4	0.0	4,505.4
7.01.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3,467.9	0.0	3,467.9	4,382.2	0.0	4,382.2
7.01.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3,467.9	0.0	3,467.9	4,282.2	0.0	4,282.2
7.01.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	100.0	0.0	100.0
7.01.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	204.6	0.0	204.6	111.2	0.0	111.2
	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო						



7.01.8	დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	15.0	0.0	15.0	12.0	0.0	12.0
702	თავდაცვა	133.5	0.0	133.5	190.0	0.0	190.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	34.9	0.0	34.9	16.6	0.0	16.6
7.03.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	34.9	0.0	34.9	16.6	0.0	16.6
704	ეკონომიკური საქმიანობა	5,668.5	4,607.9	1,060.6	4,444.7	1,757.5	2,687.2
7.04.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0.0	0.0	0.0	24.5	24.5	0.0
7.04.2.1	სოფლის მეურნეობა	0.0	0.0	0.0	24.5	24.5	0.0
7.04.5	ტრანსპორტი	5,668.5	4,607.9	1,060.6	4,392.2	1,733.0	2,659.2
7.04.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,668.5	4,607.9	1,060.6	4,392.2	1,733.0	2,659.2
7.04.7	ეკონომიკის სხვა დარგები	0.0	0.0	0.0	28.0	0.0	28.0
7.04.7.3	ტურიზმი	0.0	0.0	0.0	28.0	0.0	28.0
705	გარემოს დაცვა	887.1	102.2	784.9	1,170.8	137.5	1,033.3
7.05.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	734.9	0.0	734.9	833.0	0.0	833.0
7.05.2	ჩამდინარე წყლების მართვა	50.0	0.0	50.0	332.2	131.9	200.3
7.05.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	102.2	102.2	0.0	5.6	5.6	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3,691.2	818.4	2,872.8	4,227.2	241.4	3,985.9
7.06.1	ბინათმშენებლობა	698.5	376.0	322.5	627.2	0.0	627.2
7.06.3	წყალმომარაგება	1,533.3	408.5	1,124.8	2,252.3	240.5	2,011.8
7.06.4	გარე განათება	852.6	33.9	818.7	935.3	0.9	934.4
7.06.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	606.7	0.0	606.7	412.5	0.0	412.5
707	ჯანმრთელობის დაცვა	131.5	0.0	131.5	300.0	0.0	300.0
7.07.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	131.5	0.0	131.5	300.0	0.0	300.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3,602.2	276.3	3,325.9	5,116.8	3.9	5,112.9
7.08.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,922.2	231.7	1,690.5	2,999.1	3.9	2,995.2
7.08.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,587.2	44.7	1,542.6	2,026.7	0.0	2,026.7
7.08.3	ტელერადიომაუწყებლობა და	40.0	0.0	40.0	40.0	0.0	40.0



	საგამომცემლო საქმიანობა						
7.08.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	52.8	0.0	52.8	51.0	0.0	51.0
709	განათლება	4,630.8	163.1	4,467.7	5,826.5	187.7	5,638.8
7.09.1	სკოლამდელი აღზრდა	4,546.5	163.1	4,383.4	5,036.0	187.7	4,848.3
7.09.2	ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0	702.0	0.0	702.0
7.09.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0	702.0	0.0	702.0
7.09.3	პროფესიული განათლება	84.3	0.0	84.3	88.5	0.0	88.5
710	სოციალური დაცვა	1,546.6	0.0	1,546.6	1,738.9	0.0	1,738.9
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	38.9	0.0	38.9	72.200	0.0	72.2
7.10.1.1	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	25.7	0.0	25.7	31.8	0.0	31.8
7.10.1.2	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	13.2	0.0	13.2	40.4	0.0	40.4
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	130.1	0.0	130.1	161.0	0.0	161.0
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	39.0	0.0	39.0	55.0	0.0	55.0
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	969.5	0.0	969.5	804.2	0.0	804.2
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	369.1	0.0	369.1	646.5	0.0	646.5
	სულ	24,013.8	5,967.9	18,045.9	27,536.9	2,327.9	25,209.0

მუხლი 10. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-4723.81) ათასი ლარის ოდენობით

მუხლი 11. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-5101.77) ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (- 377.96) ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შექმნილია სარეზერვო ფონდირომელიც განისაზღვრება 100,0 ათასი ლარით და მისი განკარგვა ხორციელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის დასაკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.



მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2019 წელს მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 285,0 ათ. ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 90,0 ათ. ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 190,0 ათ. ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5,0 ათ. ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

თელავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მშენებლობა, რეაბილიტაცია, რომელიც გულისხმობს, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას და მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას, რეაბილიტაციას და ახლის მშენებლობას. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, კერძოდ, ქ. თელავში, სოფ. კისისხევში, სოფ. კურდღელაურში, შალაური-კისისხევის დამაკავშირებელ გზაზე, სოფ. კონდოლში, სოფ. გულგულაში, სოფ. ვარდისუბანში, სოფ. ნაფარეულში და სხვა, ქუჩები შეირჩევა დაზიანების ხარისხის და დანიშნულების მიხედვით; აღნიშნული პროგრამის დაფინანსების ფარგლებში განხორციელდება გზების და ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები - ქ. თელავში ერეკლე II მოედანზე ქვაფენილის მონაკვეთის ასფალტის საფარით ჩანაცვლება, ქ. თელავის ქუჩების – ყარალაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, კორძაძის ჩიხის, აგრეთვე სოფ. რუისპირის შიდა გზების, სოფ. გულგულის შიდა გზების და სოფ. ლალისყურის სასაფლაოს გზის და სხვა გზების რეაბილიტაცია, აღნიშნული ღონისძიებები გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. აგრეთვე ხორციელდება საგზაო მოძრაობის სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით დარეგულირების (მოვლა-პატრონობის) მომსახურების შესყიდვა, საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების მოწყობა, დახაზვა და გადასასვლელების მოწესრიგება. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შიდა გზების შეკეთებისათვის სპეც. ტექნიკის შეძენა, აგრეთვე ზამთრის პერიოდში შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად გზების გაწმენდა თოვლისაგან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მგზავრთა შეუფერხებელ, კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას.



მოსალოდნელი შედეგი: მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა;

შედეგების შეფასების ინდიკატორი: რეაბილიტირებული გზების მაჩვენებელი.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჩამდინარე წყლის სისტემების (ნიაღვარგამტარი და მიმღები კოლექტორების) რეაბილიტაცია, მოვლა-პატრონობა და ახლის მოწყობა, გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება. ინფრასტრუქტურისა და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობების თანადაფინანსება და ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები, საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, წყალმომარაგების სისტემების მოვლა-შენახვის, ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის ხარჯები და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი: განათებული მუნიციპალიტეტი, გაუმჯობესებული წყალმომარაგება და სანიტარიული პირობები. საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა ამხანაგობების თანადაფინანსებით.

შედეგების შეფასების ინდიკატორი: განათებული ქუჩების გაზრდილი მაჩვენებელი; სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფის გაზრდილი მაჩვენებელი;

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლებული მუნიციპალიტეტი, დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტესიურობის მაჩვენებელი. ამხანაგობის მიერ დასახული პრიორიტეტების მაჩვენებელი.

ბ.ა) ბინათმშენებლობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული თანადაფინანსების პრინციპით – ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენებით დაფინანსდება სახურავების, სადარბაზოების და სხვ. რეკონსტრუქცია-შეკეთების ღონისძიებები. აგრეთვე ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების დაფინანსება;

ბ.ბ) გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე-განათების ქსელის ექსპლოატაცია, მოვლა-პატრონობა და გარე-განათებაზე გახარჯული ელ.ენერგიის ხარჯების დაფინანსება;

ბ.გ) გარემოსდაცვითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

აღნიშნულის ფარგლებში ხორციელდება:

ბ.გ.ა) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. თელავის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანადა სხვ;

ბ.გ.ბ) ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-შენახვა და მის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციასთან და ახლის მოწყობასთან (სოფ. კურდღელაურის ცენტრალურ გზაზე, ქ. თელავში ალაზნის გამზირზე და აღმაშენებლის ქუჩაზე სასამართლოს მიმდებარედ და სხვ.) დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება;



ბ.გ.გ) გარემოს დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება „უსახელო ხევის“ ნატანებისგან გაწმენდის სამუშაოებისათვის მომსახურების შესყიდვა;

ბ.დ) სასმელი წყლის „სოკო“ (პროგრამული კოდი 03 02 04)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით (ფანტანი „სოკო“) მომარაგების უზრუნველყოფა, მისი ხარჯების დაფინანსება;

ბ.ზ) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამით ხორციელდება ქალაქ თელავის ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია;

ბ.ე) წყალმომარაგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით უკეთ მომარაგების მიზნით საჭირო ხდება ჰაბურღილების მოვლა-პატრონობა, დაზიანებული და მოძველებული სასმელი წყლის სისტემების შეკეთება, მოვლა-პატრონობა, ექსპლოატაციასთან და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, ბუნებრივი წყლების ლაბორატორიული შემოწმება და სხვა;

ბ.ვ) საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 08)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობას მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას.

მოსალოდნელი შედეგი: განხორციელებული გამწვანების ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოვლილი სასაფლაოები; კეთილმოწყობილი გარემო და სხვა.

შეფასების ინდიკატორი: მოვლილი და გამწვანებული ტერიტორიები, მოვლილი და დასუფთავებული სასაფლაო.

გ.ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 01)

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სხვა ღონისძიებების გატარებას, მათ შორის მემორიალების და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენა/რეაბილიტაცია;

გ.ბ) პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოწყობის და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დასასვენებელი პარკების, სკვერების და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობას. ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს მწვანე საფარი. სეზონური მცენარეებით დეკორატიულად გაფორმდება ქალაქის სხვადასხვა ტერიტორია. ჩატარებული იქნება სხვადასხვა სახის სამუშაოები (მწვანე საფარის გათიბვა, მწვანე ბალახის დაგროვება დაგატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვა, მწვანე ნარგავების მორწყვა, სეზონურად მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა);

გ.გ) სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-



დ) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 07)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფ. ფშაველში კემპინგის მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით კომფორტული გარემოს შექმნა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა-მეთოდოლოგიის დაცეწას, კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას და სხვა.სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას. განხორციელდება მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებები. აგრეთვე, აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა როგორც სპორტული ისე კულტურული ღონისძიებები.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 31 ბაგა-ბაღი, ერთ-ერთ პრიორიტეტს ბაგა-ბაღებში წარმოადგენს აღმზრდელების გადამზადების საკითხი, აგრეთვე ბაღში ჰიგიენური პირობების მკაცრად დაცვა, რაც უპირველესია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას, მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებების. აგრეთვე, აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა, როგორც სპორტული ისე კულტურული ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი: გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო; გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა; ბავშვების სკოლისათვის მზაობა;

შეფასების ინდიკატორები: ბაგა-ბაღებში აღსაზრდელებისა და ჯგუფების რაოდენობის ზრდა; მოწესრიგებული შენობების რაოდენობრივი ზრდა.

ა.ა) ა(ა)იპ – თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 31 ბაგა-ბაღი : №1 ბაგა – ბაღი, №3 ბაგა – ბაღი, №5 ბაგა – ბაღი, №8 ბაგა – ბაღი, №5 საბავშვო – ბაღი, №2 ბაგა-ბაღი, №6 ბაგა-ბაღი, №7 ბაგა – ბაღი, №9 ბაგა-ბაღი, სოფ.აკურის ბაგა-ბაღი, სოფ. ვანთის ბაგა-ბაღი, სოფ. ბუშეტის ბაგა-ბაღი, სოფ. ქვ.ხოდაშნის ბაგა-ბაღი, სოფ. კონდოლის ბაგა-ბაღი, სოფ. ლალისყურის ბაგა-ბაღი, სოფ. კისისხევის ბაგა-ბაღი,სოფ. გულგულის ბაგა-ბაღი, სოფ. ვარდისუბნის ბაგა-ბაღი, სოფ. ყარაჯალის ბაგა-ბაღი, სოფ. რუისპირის ბაგა-ბაღი, სოფ. იყალთოს ბაგა-ბაღი, სოფ. სანიორის ბაგა-ბაღი, სოფ. თეთრწყლების ბაგა-ბაღი, სოფ. ფშაველის ბაგა-ბაღი, სოფ. ლაფანყურის ბაგა-ბაღი, სოფ. ართანის ბაგა-ბაღი, სოფ. შალაურის ბაგა-ბაღი, სოფ. კურდღელაურის საბავშვო ბაღი, სოფ. წინანდალის ბაგა-ბაღი, სოფ. ნაფარეულის ბაგა-ბაღი, სოფ. წინანდალის №2 ბაგა-ბაღი, რომლებიც გაერთიანებულები არიან და შედიან ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ში – დაფინანსება განისაზღვრება – 4545,0 ათ.ლარი (მ.შ. სუბსიდია 4525,0 ათ.ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა 20,0 ათ.ლარი). ერთ-ერთ პრიორიტეტს ბაგა-ბაღებში წარმოადგენს აღმზრდელების გადამზადების საკითხი, აგრეთვე ბაღში ჰიგიენური პირობების მკაცრად დაცვა, რაც უპირველესია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას, მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებები. აგრეთვე, აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა როგორც სპორტული, ისე კულტურული ღონისძიებები;

ა.ბ) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 01 02)



სასწავლო-სააღზრდელი პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას, მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებების დაფინანსებას, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება „მერების შეთანხმების“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი (ქ. თელავის №1 ბაგა-ბაღის და სოფ. იყალთოს ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია) ღონისძიებების თანადაფინანსება და სხვა.

ბ) პროფესიული განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამ მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა. მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების ხელშეწყობა, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება. ზემოაღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებლად გატარების მიზნით, საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. პროგრამა მოიცავს სახელოვნებო განათლების ღონისძიებებს. სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით პერსპექტიულ მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობაზე, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერაზე. პედაგოგთა ხელშეწყობაზე. აღნიშნულ ორგანიზაციაში ფუნქციონირებს მრავალი წრე, რომელიც ემსახურება ბავშვთა შემოქმედებითი და ინტელექტუალური ღონის ამაღლებას (ხაზვის, ხატვის, სამეჯლისო ცეკვების, კულინარიის, მათემატიკის, უცხო ენის, ქართული ლიტერატურის, დიზაინის, რუსულის, სიმღერის, გიტარის, ლიტერატურული შემოქმედების, თექის, ქსოვის, გობელინის და ა.შ. ... წრე), რომლის ფარგლებშიც ფინანსდება ააიპ თელავის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, მისი დაფინანსება შეადგენს 88,5 ათ.ლარს (სუბსიდიის მუხლი).

მოსალოდნელი შედეგი: მოზარდთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამაღლება.

შედეგის შეფასების ინდიკატორები: დაინტერესებულ მოზარდთა რაოდენობა.

გ) საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის ფარგლებში საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით, თელავის მუნიციპალიტეტის ქვ. ხოდაშნის საჯარო სკოლაში განხორციელდება სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ღონისძიებები, აგრეთვე, განხორციელდება სხვა საჯარო სკოლებში მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ღონისძიებები.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

თელავის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავებას, სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობას, მონაწილეობის მიღებას რესპუბლიკურ ღონისძიებებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში ფინანსური მხარდაჭერა, ვარჯიშისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენა. სხვადასხვა ტურნირებზე, საქართველოსა და ევროპის ჩემპიონატებზე საუკეთესო შედეგების გამოსავლენად ხორციელდება მათი ადგილზე შეკრების და ვარჯიშების ჩატარება შესაბამისი პირობების შექმნით. 2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა შეჯიბრებები და მოხდება მათი ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ბავშვები და მოზარდები; სპორტის სხვადასხვა სახეობების ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა; მოწესრიგებული სპორტული ობიექტების ინფრასტრუქტურა.

შეფასების ინდიკატორი: სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობა;



სპორტულ ჯგუფებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა;

ა.ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და მასობრივი სპორტის განვითარებას. აღნიშნულის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება და მისი ხელშეწყობა (მ.შ. ქ. თელავში ჩოგბურთის საერთაშორისო ტურნირის ჩატარების ხელშეწყობის მიზნით თანადაფინანსება), რომლის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ახალგაზრდობის დაინტერესების ზრდა სპორტისადმი და სხვა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მინიმოდნების მოწყობის ხარჯების დაფინანსება, სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების შეკეთება, აღდგენა, რეაბილიტაცია. გარე გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობების მოწყობა და სხვ;

ა.ბ) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

